საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება

N988

17.12.2012

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ზოგიერთ თანამდებობაზე დ აწინაურების, გადაადგილების,სამსახურში მიღების და კვალიფიკაციის ამა ღლების საკითხების მოწერიგების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №614 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების მე-11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში (შემდგომში – ოპერატიული ქვედანაყოფები) სამინისტროს მოსამსახურის განყოფილების უფროსის მოადგილისა და უფრო მაღალ თანამდებობაზე (გარდა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის და ტერიტორიული ორგანოს უფროსისა), ხოლო სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სახაზო დანაყოფებში ოცმეთაურის, ასმეთაურის და უფრო მაღალ თანამდებობაზე დაწინაურება

განხორციელდეს შემდეგი წესით:

ა) ოპერატიულ ქვედანაყოფში და საპატრულო პოლიციაში თანამდებობრივი დაწინაურების კანდიდატი წარდგენილ იქნას ოპერატიული ქვედანაყოფის ან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოში;

ბ) სამინისტროს კადრების მთავარმა სამმართველომ თანამდებობრივი დაწინაურების კანდიდატი სპეციალური გადამზადების კურსებზე უნდა წარადგინოს გონივრულ ვადაში სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში (შემდგომში – აკადემია);

გ) აკადემიამ კურსის დასრულების შესახებ ბრძანება და შესაბამისი რეკომენდაცია წარადგინოს სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოში;

დ) თანამდებობრივი დაწინაურების კანდიდატის მიერ სპეციალური გადამზადების კურსის გავლისას უარყოფითი შედეგის დადგომის შემთხვევაში შეწყდეს მისი ოპერატიულ ქვედანაყოფში ან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში თანამდებობრივი დაწინაურების საკითხი განხილვა. ასეთ შემთხვევაში მისი ოპერატიულ ქვედანაყოფში ან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში თანამდებობრივი დაწინაურებისათვის წარდგენა კურსის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია;

ე) ოპერატიულ ქვედანაყოფებში და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში თანამდებობრივი დაწინაურების კანდიდატი, რომელსაც ოპერატიულ ქვედანაყოფში ან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი გავლილი აქვს დადებითი რეკომენდაციით, შემდგომში დაწინაურებისას სპეციალური გადამზადების კურსის გავლას არ ექვემდებარება.

მუხლი 2.

1. სამინისტროს ოპერატიულ ქვედანაყოფებში დეტექვივი–გამომძიებლისა და დეტექტივის თანაშემწე–გამომძიებლის თანამდებობაზე შეიძლება

დაინიშნოს პირი, რომელსაც აკადემიაში გავლილი აქვს დეტექტივი-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან დეტექტივი-გამომძიებლებისა და დეტექტივის თანაშემწე–გამომძიებლების გადამზადების კურსები.

2. სამინისტროს ოპერატიულ ქვედანაყოფებში დეტექვივი–გამომძიებლის, დეტექტივის თანაშემწე–გამომძიებლის და უფრო მაღალ თანამდებობაზე დასანიშნი სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, აგრეთვე სხვა უწყების მოქმედი ან ყოფილი თანამშრომელი შეიძლება ჩაირიცხოს დეტექტივი-გამომძიებლის სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სათანადო შესწავლის დასრულების შემდეგ, თუ იგი:

ა) არის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, რომელსაც აქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ან ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობის გამოცდილება და არ არის დათხოვნილი უარყოფითი მოტივით;

ბ) არის სხვა სახელმწიფო უწყების თანამშრომელი, რომელსაც აქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ან ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობის გამოცდილება;

გ) არის სხვა სახელმწიფო უწყების ყოფილი თანამშრომელი, რომელსაც აქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ან ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობის გამოცდილება და არ არის დათხოვნილი უარყოფითი მოტივით.

3. ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი, დეტექტივი-გამომძიებლის სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება შესაბამისი დანაყოფის ხელძღვანელის სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოში წარდგინების და მინისტრის თანხმობის შემთხვევაში. აღნიშნული კანდიდატების აკადემიაში მსმენელად წარდგენა ხდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 3.

1. სამინისტროს ოპერატიულ ქვედანაყოფებში უბნის უფროსი ინსპექტორ–გამომძიებლისა და უბნის ინპექტორ–გამომძიებლის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აკადემიაში გავლილი აქვს:

ა) უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან უბნის ინსპექტორთა სპეციალური საბაზისო მომზადების კურსი;

ბ) დეტექტივი-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან დეტექტივი-გამომძიებლებისა და დეტექტივის თანაშემწე–გამომძიებლების გადამზადების კურსები;

გ) პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პატრულ-ინსპექტორთა სპეციალური საბაზისო მომზადების კურსები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამინისტროს მოსამსახურემ, თანამდებობაზე დანიშვნიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში აკადემიის მიერ დადგენილი წესით უნდა გაიაროს შესაბამისი გადამზადება.

მუხლი 4.

1. სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში პატრულ–ინსპექტორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აკადემიაში გავლილი აქვს:

ა) პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პატრულ-ინსპექტორთა სპეციალური საბაზისო მომზადებისც კურსები;

ბ) უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამა ან უბნის ინსპექტორთა სპეციალური საბაზისო მომზადების კუსრსი;

გ) დეტექტივი-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან დეტექტივი-გამომძიებლებისა და დეტექტივის თანაშემწე–გამომძიებლების გადამზადების კურსები.

დ) სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მისაღებად შერჩეულ კანდიდატთა სპეციალური საბაზისო მომზადების კურსი, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა სპეციალური საბაზისო მომზადების კურსი, სამინისტროს საპატრულო პოლიციის საბაზისო მომზადების კურსი, სამინისტროს საპატრულო პოლიციის სპეციალური მომზადების კურსი ან სამინისტროს საპატრულო პოლიციის კანდიდატთა სპეციალური მომზადების კურსი;

ე) სამინისტროს საპატრულო პოლიციის სპეციალური საბაზისო მომზადების კურსი;

ვ) სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მომსამსახურეთა გადამზადების პროგრამა.

2. სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მესაზღვრე-კონტროლიორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აკადემიაში გავლილი აქვს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით მითითებული პროგრამა ან კურსები;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ან ,,ვ" ქვეპუნქტით მითითებული კურსი ან პროგრამა 2009 წლიდან;

გ) სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მესაზღვრე-კონტროლიორთა სპეციალური საბაზისო მომზადების კურსი.

3. პირი, რომელსაც აკადემიაში გავლილი აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ", ,,ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ან სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მესაზღვრე-კონტროლიორთა სპეციალური საბაზისო მომზადების კურსი, ვალდებულია შესაბამის

თანამდებობაზე დანიშვნამდე ან დანიშვნის შემდეგ აკადემიაში გაიაროს 2-კვირიანი გადამზადების კურსი. თუ თანამდებობაზე დანიშვნამდე პირს არააქვს გავლილი აღნიშნული კურსი, მაშინ საპატრულო პოლიციის დეპარატამენტი ვალდებულია, აღნიშნული პირი დანიშვნიდან არა უგვიანეს 6 თვის ვადაში წარადგინოს სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოში, რომელიც თავის მხრივ გონივრულ ვადებში უზრუნველყოფს აკადემიაში 2-კვირიან გადამზადების კურსზე მის გაგზავნას.

4. პირი რომელმაც ამ ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ აკადემიაში ვერ გაიარა 2-კვირიანი გადამზადების კურსი, აღნიშნულ კურსზე გაგზავნიდან არა უგვიანეს 6 თვის ვადაში, ამ ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ხელმეორედ უნდა იქნეს წარდგენილი სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოში შესაბამისი კურსის გავლის მიზნით. თუ პირი აკადემიაში კვლავაც ვერ გაივლის 2-კვირიან გადამზადების კურსს, იგი თავისუფლდება დაკავებულ თანამდებობიდან.

5. სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში პატრულ-ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშნული პირი, რომელსაც აკადემიაში გავლილი აქვს ამ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე პროგრამა ან კურსი, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში თანაბარ თანამდებობაზე დანიშვნისას (გადაადგილებისას) აღარ ექვემდებარება სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან დამატებითი კურსის გავლას.

6. სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მესაზღვრე-კონტროლიორის თანამდებობაზე დანიშნული პირი, რომელსაც აკადემიაში გავლილი აქვს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე პროგრამა ან კურსი, თანაბარ თანამდებობაზე დანიშვნის (გადაადგილებისას) აღარ ექვემდებარება სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან დამატებითი კურსის გავლას.

მუხლი 5.

სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის უფროსი ინსპექტორის (მაშველი), ინსპექტორის (მაშველი) და უმცროსი

ინსპექტორის (მაშველი) თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც გავლილი აქვს მეხანძრე–მაშველის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან გააჩნია მაშველის შესაბამისი სერტიფიკატი.

მუხლი 6.

1. განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, პირის თანამდებობაზე დანიშვნა, გადაადგილება ან დაწინაურება, ამ ბრძანებით გათვალიწინებული კურსების და სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოში სათანადო წარდგინებას აკეთებს სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელი, სადაც ინიშნება პირი ან ხდება თანამდებობრივი გადაადგილება ან დაწინაურება.

3. სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველო სამინისტროს დანაყოფიდან მიღებული წარდგინების საფუძველზე, საკითხს შესათანხმებლად და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

4. სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის ხელმძღვანელი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თანამდებობაზე დანიშნული პირები დანიშვნიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში წარადგინოს სამინისტროს კადრების მთავარ სამმართველოში, რომელიც თავის მხრივ, გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალური პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად აღნიშნული პირების აკადემიაში წარდგენას.

5. ამ მუხლის მე–4 პუნქტით განსაზღვრული პირი უნდა განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ იგი წარმატებით ვერ გაივლის სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

მუხლი 7.

ამ ბრძანების მოთხოვნები არ ვრცელდება:

ა) სამინისტროს ოპერატიულ ქვედანაყოფში:

ა.ა) სამინისტროს ოპერატიული ქვედანაყოფის უფროსის (დეპარტამენტის დირექტორი, მთავარი სამმართველოს უფროსი, სამმართველოს უფროსი და განყოფილების უფროსი, აგრეთვე მათი მოადგილეები) თანამდებობიდან დეტექტივი–გამომძიებლის, დეტექტივის თანაშემწე–გამომძიებლის, უბნის უფროსი ინსპექტორ–გამომძიებლისა ან უბნის ინპექტორ–გამომძიებლის თანამდებობაზე დანიშვნის დროს;

ა.ბ) სამინისტროს მოსამსახურის უფრო დაბალ თანამდებობაზე დანიშვნის დროს, გარდა დეტექტივ–გამომძიებლის ან დეტექტივის თანაშემწე–გამოძიებლის თანამდებობებისა;

ა.გ) სამინისტროს მოსამსახურის თანაბარ თანამდებობაზე დანიშვნის დროს, გარდა დეტექტივ–გამომძიებლის, დეტექტივის თანაშემწე–გამომძიებლის, უბნის უფროსი ინსპექტორ–გამომძიებლის ან უბნის ინსპექტორ–გამომძიებლის თანამდებობებისა.

ბ) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში:

ბ.ა) საპატრულო პოლიციის სახაზო დანაყოფის ხელმძღვანელის (ათმეთაურის, ოცმეთაურის, ასმეთაურის და უფრო მაღალი თანამდებობიდან) თანამდებობიდან პატრულ–ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნის დროს;

ბ.ბ) სამინისტროს მოსამსახურის უფრო დაბალ ან თანაბარ თანამდებობაზე დანიშვნის დროს, გარდა პატრულ–ინსპექტორის და მესაზღვრე–კონტროლიორის თანამდებობებისა;

გ) სამინისტროს ოპერატიულ ქვედანაყოფებში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში ან საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე (თანამდებობა, რომელიც არ

ითვალისწინებს ოპერატიულ–სამძებრო, საგამოძიებო და სამაშველო საქმიანობის განხორციელებას) დანიშვნის დროს.

მუხლი 8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**